დანართი

## პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტები

| 1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა | | |
|---|---|---|
| სტანდარტის აღწერა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |
| | | |
| პროგრამა შედგენილია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის მოთხოვნათა დაცვით. | ➢ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს; | ანალიზის დოკუმენტი/კვლევა/დასაბუთება |
| | ➢ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს; | პროგრამა |
| | ➢ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან; | პროგრამა |
| | ➢ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში; | პროგრამა |

| | | |
|---|---|---|
| | ➢ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს;<br><br>➢ პროგრამის სწავლის შედეგები, აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით;<br><br>➢ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია;<br><br>➢ სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;<br><br>➢ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას;<br><br>➢ მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას; | პროგრამა<br><br>პროგრამა<br><br>პროგრამა<br><br>პროგრამა<br><br>პროგრამა<br><br>პროგრამა |
| 2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი | | |
| სტანდარტის აღწერა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |

| | | |
|---|---|---|
| იურიდიული პირის რესურსები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. | ➢ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით; | პროგრამის განმახორციელებელი პირების შესაბამისი განათლებისა ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მსმენელთა გამოკითხვის შედეგები |
| | ➢ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; | მატერიალური რესურსის ფლობის ან სარგებლობის უფლების შესახებ დოკუმენტაცია/ ვიზუალური დათვალიერების შედეგები |
| | ➢ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე; | ინფორმაცია რელევანტური სასწავლო რესურსების შესახებ. მსმენელთა გამოკითხვის შედეგები |
| | ➢ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში; | ინფორმაცია მსმენელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნას შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; |
| 3. პროგრამის ადმინისტრირება | | |
| სტანდარტის აღწერა | შეფასების კრიტერიუმი | ინდიკატორი/მტკიცებულებები |

| | | |
|---|---|---|
| იურიდიული პირი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ეფექტურ ადმინისტრირებას. | ➢ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; | ზეპირი მოსმენის შედეგები |
| | ➢ იურიდიულ პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან; | მსმენელების შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა;<br>მსმენელების შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და შედეგები;<br>მსმენელთა გამოკითხვის შედეგები |
| | ➢ იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას; | სოციალური/მასობრივი მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია მსმენელთა გამოკითხვის შედეგები |
| | ➢ საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს; | ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და მათი გამოყენების მტკიცებულებები |
| | ➢ იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას; | მონაცემთა ბაზები |

| | | |
|---|---|---|
| | ➢ თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას;<br><br>➢ გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს; | წარდგენილი ანგარიშები, კორესპონდენცია<br><br>ელექტრონულ სისტემაში ასახული დოკუმენტაცია |